

ბანკის ეკონომიკური უსაფრთხოების საბანკო ელემენტები და ძირითადი შემაჯანებლები

რეზიუმე: ნაშრომში გამოკვლეულია ბანკის ეკონომიკური უსაფრთხოების საბანკო ელემენტები და შემაჯანებლები უსაფრთხოების მართვის კომპლექსური სისტემის რეალიზაციისათვის. შესწავლილია „ბანკის ეკონომიკური უსაფრთხოების“ ცნების არსი, ჩამოყალიბებულია ეკონომიკური უსაფრთხოების კრიტერიუმების ფორმირებისადმი მიდგომები. გაკეთებულია ანალიზი ეკონომიკური უსაფრთხოების შემაჯანებლების, ბანკის ფუნქციონალური განვითარების შესახებ წარმოდგენებიდან გამომდინარე. წარმოდგენილია ეკონომიკური უსაფრთხოების კომპლექსური მართვის კონცეფცია, რომელიც ეკონომიკური უსაფრთხოების თითოეულ კომპონენტში წარმოქმნილი მუქარების შემდგომ კონტროლზე, შესაძლო რისკების კლასიფიკაციაზე და რისკების მართვაზე არის დაფუძნებული. დასაბუთებულია ეკონომიკური უსაფრთხოების შემაჯანებელ ნაწილებად და ელემენტებად სტრუქტურირების აუცილებლობა.

საკვანძო სიტყვები: ბანკის ეკონომიკური უსაფრთხოება; რისკების მართვის სისტემა; მუქარები; შიდა და საგარეო ფაქტორები.

Key words: economic safety of bank; risk management system; threats; external and internal factor.

საკრედიტო დაწესებულების ეკონომიკური უსაფრთხოების მართვის საგანი თანამედროვე მეცნიერებისა და პრაქტიკოსების კვლევებში უმნიშვნელოვანესი გახდა. საბანკო სისტემის უსაფრთხოება ქვეყნის ეკონომიკური სისტემის მდგრადი ფუნქციონირებისა და განვითარების უზრუნველყოფის წამყვან ამოცანას წარმოადგენს. გარემომცველი გარემოს მზარდი განუსაზღვრელობა, რომლებშიც ფუნქციონირებენ ბანკები, განპირობებულია რისკებისა და მუქარების ერთობლიობის ზრდით, რომლებიც

დავით ბიბიშიძე

სტუ-ს ასოც. პროფესორი,
davidbibishidze@gtu.ge; 577119039

ბიორბი ცაავა

სტუ-ს პროფესორი, ე.მ.დ.;
Tsaavagiorgi11@gtu.ge; 599201230

საც საკრედიტო ორგანიზაციის ეკონომიკური უსაფრთხოების დარღვევაც შეუძლიათ. საკრედიტო-საბანკო სისტემის ფუნქციონირების მდგრადობის უზრუნველყოფის საკითხებმა განსაკუთრებული აქტუალურობა მოიპოვა მსოფლიოში ფინანსური კრიზისების ტალღის პერიოდში შეიძინეს, რომელთა ერთ-ერთ მთავარ მიზეზად შეიძლება რისკების არაობიექტური შეფასება და საბანკო ზედამხედველობისა და რეგულირების არასაკმარისი დონე იქნას დასახელებული. აღნიშნულიდან გამომდინარე მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ აუცილებელია შემუშავებული იქნას ბანკების ეკონომიკური უსაფრთხოების სისტემის რეგულირების ახალი ხერხები და მეთოდები, ასევე კომპლექსური ფართომასშტაბიანი ანტიკრიზისული ღონისძიებები, რომლებიც ცენტრალური ბანკების, საბანკო ზედამხედველობის ორგანოებისა და სახელმწიფო ორგანოების ძირითადი ამოცანა უნდა გახდეს.

გლობალიზაციის პირობებში საბანკო სექტორისა და ფინანსური ბაზრის სტაბილური საქმიანობის უზრუნველყოფელ ერთ-ერთ საკვანძო ფაქტორს წარმოადგენს ფინანსური ბაზრის ინსტიტუციონალური სტრუქტურის და უპირველეს ყოვლისა, საბანკო სისტემის, როგორც მისი ერთ-ერთი მთავარი ელემენტის ეკონომიკური უსაფრთხოება.

დღევანდით „ეკონომიკური უსაფრთხოება“ სხვადასხვა დარგობრივი მიმართულების მრავალ-

ლი მეცნიერების მიერ იქნა გამოკვლეული. აკადემიკოსი ვ.კ. სენჩაგოვი განსაზღვრავს მას, როგორც „... ეკონომიკისა და ხელისუფლების ინსტიტუტების მდგომარეობას, რომელთა დროსაც, შიდა და საგარეო პროცესების განვითარების არახელსაყრელი პირობების დროსაც კი ეროვნული ინტერესების გარანტირებული დაცვა, პოლიტიკის სოციალური მიმართულობის, საკმარისი თავდაცვითი პოტენციალის უზრუნველყოფა ხორციელდება“ (1).

საბანკო უსაფრთხოების თვალსაზრისიდან კი აღნიშნული - არის ბანკის მდგრადი განვითარების უზრუნველყოფა და მისი ეკონომიკური პოტენციალის ყველაზე ყვრო სრულად გამოყენება გარემომცველი გარემოს აგრესიულ პირობებში.

ბანკის ეკონომიკური უსაფრთხოება ასევე განისაზღვრება როგორც მდგომარეობა, რომლის დროსაც ბანკის რესურსების საუკეთესოდ გამოყენების უზრუნველყოფა ხორციელდება, რომელიც საფინანსო-საკრედიტო დაწესებულების მდგრადი განვითარების და მოგების მაქსიმალიზაციის უზრუნველყოფის მიზნით საგარეო და შიდა მუქარების აღმიფხვრაზეა მიმართული.


ა.ვ. ჩაპლიგინა საბანკო მუშაობის ეკონომიკურ უსაფრთხოებას განსაზღვრავს, როგორც ბანკის მდგომარეობას, როდესაც იგი კორპორაციული რეზერვების საუკეთესოდ გამოყენებისას, არსებული საშიშროებებისა და მუქარებისაგან, ან სხვა მოულოდნელი ფაქტორების აღმოფხვრას, დაცვას, ან დაცვას და კონკურენტული ბრძოლისა და სამეურნეო რისკისას ბიზნესის მიზნების შედეგის გარანტირების შესაძლებლობას აღწევს (2). ამ ავტორის მოსაზრების მიხედვით, ეკონომიკური უსაფრთხოების ძირითად კრიტერიუმს ბანკის მიზნების მიღწევის ხარისხი წარმოადგენს.

ბანკის ეკონომიკური უსაფრთხოების მართვისა და კონტროლის სისტემის ფორმირებისათვის დახასიათებული უნდა იქნას მისი ძირითადი ელემენტები, რომლებსაც წარმოადგენენ - მართვის სუბიექტი და ობიექტი, ეკონომიკური უსაფრთხოების კრიტერიუმები, რომელთა საფუძველზე შემუშავდება ეკონომიკური უსაფრთხოების ინდიკატორები, რომლებიც თავისთავად მართვის სისტემის მიზანს წარმოადგენენ. ასევე სისტემის მნიშვნელოვანი ელემენტებია გამოყენებადი მეთოდები და მართვის მექანიზმები, რომლებიც თავისთავად ინსტრუმენტარიებს წარმოადგენენ.

სისტემის ფორმირების ცენტრალურ მომენტს ეკონომიკური უსაფრთხოების კრიტერიუმების შერჩევა წარმოადგენს. კრიტერიუმები უნდა იქნას ბანკისა და მისი განვითარების სფეროების ეკონომიკური უსაფრთხოების ძირითადი შემადგენელებიდან გამომდინარე შერჩეული. ბანკის უსაფრთხოების უმნიშვნელოვანეს შემადგენელებს უწოდებენ - ფინანსურ ან ეკონომიკურ შემადგენელს, ინფორმაციულს, ინვესტიციურს, ინოვაციურს, ფასობრივს, ორგანიზაციულს და ა.შ.; ნახაზი 1-ზე ბანკის ეკონომიკური უსაფრთხოების სქემა წარმოდგენილია, ნ.ვ. ოფინიკოვის თვალსაზრისის მიხედვით (1).

საბანკო დაწესებულების მუშაობის ეფექტიანობა საგარეო და შიდა პირობების ერთობლიობაზე არის დამოკიდებული. საგარეო პირობებს მიეკუთვნებიან - პოლიტიკური, ეკონომიკური, დემოგრაფიული, ინფორმაციული ფაქტორები. რომლებსაც შუძლია ბანკის საქმიანობაზე ნებისმიერი ზეგავლენა განახორციელოს. ქვეყნის ფარგლებში აღნიშნული შეიძლება იყოს - ფულადი მასის რაოდენობის, მსოფლიო საბანკო მომსახურების ბაზარზე და ფინანსურ ბაზრებზე კონკურენტული მდგომარეობის, კაპიტალის უცხოეთში გადინების, ჩრდილოვანი ეკონომიკისა და ეკონომიკური ბოროტმოქმედებების განვითარების დონის ფაქტორები. შიდა პირობებს მიაკუთვნებენ - ბანკის საკრედიტო პოლიტიკას, საპროცენტო, სადეპოზიტო პოლიტიკას, საქმიან რეპუტაციას, ასევე ბანკის შესაძლებლობას საგარეო მუქარების ნეგატიური ზემოქმედების ნეიტრალიზებისა და სისტემის მდგრადი ფუნქციონირების უზრუნველყოფასთან მიმართებაში. არსებობს მრავალი ფაქტორიც, რომლებიც ბანკის ფუნქციონირების შიდა პირობებს მიეკუთვნება, მაგრამ, მათი სრულად გაანალიზება და წარმოდგენა მოცემული კვლევის მიზანს არ წარმოადგენს.

საბანკო და საფაფხვეო საქმე



ნახაზი 1. ბანკის ეკონომიკური უსაფრთხოების სტრუქტურა (1).

ეკონომიკური უსაფრთხოების დიდი რაოდენობის სახეობების ანალიზი რისკების მართვის თითოეულ, შესაბამისი და ვეებერთელა ჯამური მოდელის რისკების კონტროლის მეთოდების შერჩევას რთულად ხდის. ექსპერტული მეთოდის მეშვეობით ნახაზი 1-ზე წარმოდგენილი ბანკის ყველა სახეობის უსაფრთხოების რანჟირება განხორციელებულია. დანარჩენი შემადგენელები, ექსპერტების მოსაზრების მიხედვით, სხვა უფრო საერთო შემადგენელების სფეროში შედის.

ექსპერტების მიერ გამოიყო ეკონომიკური უსაფრთხოების შემდეგი სახეობები:

- ფინანსურ-ეკონომიკური (საჭიროა ფინანსური უსაფრთხოება იქნას გაერთიანებული, რომლის კრიტერიუმს წარმოადგენს ფინანსური მდგრადობა, და ეკონომიკური, რომლის პარამეტრები ფინანსურ შედეგებზე არაფინანსური მაჩვენებლების ზეგავლენას იწვევს);
- ინოვაციური;
- ინფორმაციული;
- ფასობრივი;
- სავალუტო;
- პირადული.

ფინანსურ-ეკონომიკური შემადგენელი თავისთავად ბანკის ფუნქციონირების პროცესების ერთობლიობას წარმოადგენს, რომლის საკონტროლო შედეგს ფინანსურ-ეკონომიკური მაჩვენებლები წარმოადგენს. ბანკების ფინანსური მდგრადობის კონტროლისათვის მოელ მსოფლიოში სტრეს-ტესტირების სისტემას იყენებენ. საერთაშორისო სავალუტო ფონდი განსაზღვრავს სტრეს-ტესტირებას როგორც „მაკროეკონომიკური მაჩვენებლების არსებითი ცვლილებებისადმი ან შესაძლო გარემოებების მიხედვით გამონაკლესებისადმი პორტფელის მგრძნობელობის შეფასების მეთოდებს“. საერთაშორისო ანგარიშსწორებების ბანკი შემდეგი სახით განმარტავს აღნიშნულ „სტრეს-ტესტირების“ ტერმინს - სხვადასვა მეთოდის აღმწერი ტერმინი, რომელიც ფინანსური ინსტიტუტების მიერ გამონაკლესებისადმი, მაგრამ შესაძლო გარემოებებისადმი მიმართებით თავისი სისუსტის შეფასებისათვის გამოიყენება (3).

კომერციული ბანკის რისკების და ფინანსური მდგრადობის შეფასების ყველა უცხოური

მეთოდები შეიძლება დაიყოს რამდენიმე ჯგუფად:

1. შეფასების რეიტინგული სისტემები (PA-TROL, ORAR, CAMEL).
2. კოეფიციენტური ანალიზის სისტემები (BAKIS).
3. საბანკო რისკების შეფასების კომპლექსური სისტემები (RATE, RAST).
4. სტატისტიკური მოდელები (FIMS, SAABA).

რეიტინგული სისტემები დაფუძნებულია კომერციული ბანკების მიხედვით ღია მიღწევადობაში არსებული მონაცემების ანალიზზე, და თითოეული გამოკვლევადი ბანკისათვის გარკვეული რეიტინგის მიკუთვნებზე. რეიტინგი CAMEL სისტემის მიხედვით აშშ-ში ბანკის მუშაობის ანალიზის შედეგების ანალიზის შემდეგ მიაკუთვნებენ. მაღალი ბალების მქონე ბანკები ნახევარ წელიწადში ერთხელ, დანარჩენები - უფრო ხშირად შემოწმდებიან.

კოეფიციენტური ანალიზის სისტემები დაფუძნებულია საბანკო საქმიანობის ინდიკატორების (H1, H2 და ა.შ.) კონტროლზე.

საბანკო რისკების შეფასების კომპლექსური სისტემები თავისთავად იმიტაციურ-დინამიკურ მოდელებს წარმოადგენენ, რომლებიც არა მარტო ფინანსური მაჩვენებლების, არამედ მრავალი სხვებისაც გათვალისწინების შესაძლებლობას იძლევა.

სტატისტიკური მოდელები რისკების რეტროსპექტიული ანალიზის საფუძველზე შეფასებას ითვალისწინებენ. დროის დიდი შუალედური პერიოდის მონაცემების ანალიზი შესაძლებლობას იძლევა - საკრედიტო ორგანიზაციის მუშაობაში გარკვეული კანონზომიერებები გამოვლინდეს და სისტემის სამომავლოდ საქმიანობის მაჩვენებლების პროგნოზირების შემძლე სტატისტიკური მოდელი ჩამოყალიბდეს.

ინფორმაციული შემადგენელი თავისთავად ბანკის მუშაობის ინფორმაციულ სივრცეს წარმოადგენს, რომელიც თავისთავში მოიცავს - ბუღალტრულ და ფინანსურ ინფორმაციას, ბანკის საქმიანი რეპუტაციის შესახებ ინფორმაციას, რომელიც აქციის ღირებულებაზე ახდენს ზეგავლენას, ბანკის შსახებ ინფორმაცია, რომელიც პოტენციურ მომხმარებლებს, საბაზრო ინფრასტრუქტურას გააჩნია (კონკურენტული

გარემომცველების შესახებ, მომსახურებაზე საშუალო ფასების შესახებ და ა.შ.), კომპლექსური ინფორმაციული სისტემების განსაკუთრებულობა ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის მდგომარეობს იმაში, რომ ბუღალტრული ინფორმაცია შეიძლება გამოიყენონ აქციონერებმა, ინვესტორებმა, კრედიტორებმა და კლიენტებმა კომერციული ბანკის სტაბილურობის და მისი ფაქტიური მდგომარეობის შეფასებისათვის, ასევე აუდიტორებმა და საგადასახადო ორგანოებმა აღრიცხვის, საგადასახადო ანარიცხების სისწორის შემოწმებისას, რომლებიც ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების ამაღლებას უწყობენ ხელს (4). გარდა ამისა, ობიექტური საბაზრო ინფორმაცია მუხტის წარმოშობაზე დროულად ორიენტირებაში და ახალი რეალიებისადმი ბანკის ფუნქციონირების ადაპტირებაში ეხმარება.

ინოვაციური შემადგენელი თავისთავად ბანკში რეალიზებადი საინვესტიციო პროექტების და ახალი პროექტების შესახებ ინფორმაციის განთავსებთან დაკავშირებული ინვესტიციების მოზიდვის და ინვესტირების მოძიების სისტემას წარმოადგენს. საბანკო საქმიანობის აღნიშნული სფერო მჭიდროდაა დაკავშირებული საინვესტიციო შემადგენელთან, რომლის არსი ბანკის ინოვაციურ განვითარებაში მდგომარეობს. ახალი ტექნოლოგიური წყობის მოთხოვნები უწყვეტი ინოვაციური პროცესის უზრუნველყოფის აუცილებლობას კარნახობენ. საბანკო დაწესებულების ინოვაციური განვითარების უმნიშვნელოვანეს მიზანს წარმოადგენს ბაზარზე სტაბილურად მაღალი კონკურენტული პოზიციის შენარჩუნება, რომელიც შესაძლებელია - ახალი საბანკო პროდუქტების დანერგვის, ადამიანური ფაქტორის გამომრიცხავი მართვის ავტომატიზირებული სისტემების, და ინფორმაციების დამუშავების ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენების საფუძველზე (5). ბანკის ინოვაციური პროექტები დაკავშირებულია - უსაფრთხოების ახალი სისტემების დანერგვასთან, ახალი საბანკო პროდუქტების შემუშავებასთან, საბანკო საქმიანობის სხვადასხვა სფეროში მართვის ავტომატიზირებული სისტემების დანერგვასთან. ამრიგად, ბანკის ფუნქციონირების სისტემაში ინოვაციური კომპონენტი მისი ეკონომიკური

უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე გარკვეულ ზეგავლენას ახდენს.

ფასობრივი შემადგენელი ბაზარზე ბანკის მარკეტინგულ პოზიციას განსაზღვრავს. თუ ფასები საბანკო მომსახურებაზე შედარებადია მსგავსი ტიპის სხვა დაწესებულებთან, მაშინ კონკურენტული ბრძოლა სხვა კონკურენტული უპირატესობების ხარჯზე ხორციელდება. მაგრამ, ბანკის ფასობრივი პოლიტიკა შეიძლება იმიჯთან ან საქმიან რეპუტაციასთან იყოს დაკავშირებული. ასე, მაგალითად, ინოვაციური ტექნოლოგიების მეშვეობით განხორციელებადი გადარიცხვებისა და ონ-ლაინ გადახდების გარანტიულად დაცული სისტემის უზრუნველყოფისას, ბანკი მიერ შეთავაზებად მომსახურებაზე დიდი ფასის მოთხოვნა იქნება სამართლიანი. კლიენტები, რომელთათვის უპირველეს ყოვლისა უსაფრთხოებაა მნიშვნელოვანი, მზად არიან აღნიშნული ფასი გადაიხადონ, რომ ფინანსური ოპერაციების უსაფრთხოება უზრუნველყონ.

სავალუტო შემადგენელი თითოეულ ბანკში არსებობს და იგი სავალუტო ოპერაციების განხორციელებასთან და მათ ხეჯირებასთან არის დაკავშირებული. სავალუტო რისკი ყველა სახეობის რისკებისაგან ყველაზე უფრო არაგანჭვრეტადს წარმოადგენს, ამიტომ ვალუტასთან მუშაობისას ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა ბანკის მუშაობის მდგრადობაზე ძლიერ ზეგავლენას ახდენს.

პირადული შემადგენელი განსაზღვრავს საკრედიტო დაწესებულების ადამიანური პოტენციალის ხარისხი. პერსონალის მაღალი კვალიფიკაცია და მოცემულ სფეროში მუშაობის გამოცდილება ანგარიშსწორებებში, კლიენტებთან ხელშეკრულების გაფორმებისას მონაცემების შეყვანაში და ა.შ. შეცდომების რისკის შემცირებას უზრუნველყოფს. გარდა ამისა, უახლესი მოწყობილობის გამოყენება, რომელიც ბანკის მუშაობის სამეცნიერო-ტექნიკურ მხარეს შეადგენს, პერსონალისაგან სპეციალურ ცოდნას მოითხოვს, რომლებიც ტრენინგებისა და მოწყობილობის მეშვეობით უნდა იქნას უზრუნველყოფილი.

ბანკის მუშაობის შემადგენელიდან თითოეული თავისთავად მუქარების წყაროს წარმოადგენს, რომლებიც ეკონომიკური უსა-

დავით გიბორაძე, გიორგი სავაძე

ფრთხილების უზრუნველყოფის მიზნით უნდა იქნას გაკონტროლებული. ფინანსურ-ეკონომიკურმა შემადგენელმა შეძლება ჩაირთოს ბანკის საქმიანობის მდგრადობის დაკარგვის მუქარა, რომელიც - ლიკვიდობის შემცირების რისკთან, რენტაბელობის დაკარგვის რისკთან, სავალურო რისკთან და ა.შ. არის დაკავშირებული. ინოვაციური შემადგენელი არაეფექტური ინოვაციების შექმნის მუქარას ითვალისწინებს, რომლებიც ბაზარზე გამოყენებას ვერ მოიპოვებენ და სამეცნიერო-კვლევითი და საკონსტრუქტორ-ტექნიკური სამუშაოების ინ-

ოვაციებზე დახარჯული ფული, უსარგებლოდ იქნება გახარჯული. ინოვაციური პროექტების არაეფექტური ინოვაციური პორტფელის შედგენა, მიმოქცევიდან ამოღებული ფულადი სახსრების არაეფექტურად განთავსების გამო, ლიკვიდობის დაკარგვის რისკთან, ასევე დროში დაგვიანების გამო ბანკის სტრატეგიული მიზნების მიუღწევლობის რისკთან არის დაკავშირებული.

მუქარების, რისკებისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის კონცეპტუალური ურთიერთკავშირი ნახაზ 2-ზე არის წარმოდგენილი.

	მუქარები:	რისკი:	უსაფრთხოება:
ფუნქციები:	- გამოცნობა მუქარების; - გამოვლენა პოტენციალური და რეალური მუქარების; - გამოცნობა წყაროების და მუქარების კლასიფიკაცია.	- დიაგნოსტიკა რისკების; - კლასიფიკაცია რისკების; - რაოდენობრივი შეფასება რისკების ზეგავლენა; - დადგენა რისკების მიღწევადი საზღვრების.	- მუქარების გამოვლენისა და რისკების რეგულირების ეფექტური სისტემის ფორმ; - მხარდაჭერა მხარდი ფინანსური ნაკადების უწყვეტი მოძრაობის.
მეთოდები, ინსტრუმენტები:	- განთავსების სენსორული მეთოდები; - კვლევის ინტუიტიური მეთოდები; - გამოვლენის ანალოგური მეთოდები.	- რისკების გამოცნობის ინფორმაციების შეგროვებისა და დამუშავების სტატისტიკური მოდელი; - ალბათობისა და პროგნოზირების თეორიების კვლევის მეთოდები.	- აქტიუ-პასიური ოპერაციების ოპტიმიზაცია ბანკის მაღალი საკრედიტო რეიტინგის და საქმიანი რეპუტაციის მიღწევისათვის; - მუდმივად განახლებადი ინფორმაციების დამუშავებისა და დაცვის თანამედროვე სისტემების დანერგვა.
ობიექტები, -მიზნები:	- რისკების სახით რეალიზაციის მქონე ფაქტორები; - ფაქტორები, რომლებიც არ ფორმალიზდებიან და ზარალს არ განიცდიან ფაქტორული რეალიზაციის გარეშე (ხმები, პანიკა, ნეგატიური მოლოდინები).	- მაჩვენებლები, რომლებიც მკაფიოდ ფორმირდებიან და რაოდენობრივი შეფასება გააჩნიათ; - ცალკე სარისკო მოვლენის დადგომის ალბათობა; - იძულებითი ხარჯების, იძულებითი შექმნების ზიანის მაჩვენებლები.	- ეკონომიკური ნორმატივებისა და ფინანსური მდგრადობის ინდიკატორების შესრულება; - მდგრადი განვითარების სტრატეგიის რეალიზაცია; - ბანკისადმი მოსახლეობის, კონტრაგენტები და მარგულრებული ორგანოების მხრიდან, უსიტყვოდ ნდობის მხარდაჭერა.

ნახაზი 2. ბანკების ეკონომიკური უსაფრთხოება რისკების შეფასებისას

უსაფრთხოების განმასხვავებელ განსაკუთრებულობას პრაქტიკულად ყველა ცნებებისაგან წარმოადგენს მისი ცნება „მუქარას“ მეშვეობით აღწერა. მუქარა უსაფრთხოების თვალსაზრისიდან - არის გარკვეულ მომენტში ან დროის ინტერვალში კონკრეტული ობიექტისათვის საშიშროების რეალიზაციის ხელშეწყობი ფაქტორებისა და პირობების ერთობლიობა (6, გვ. 9).

არსებობს მუქარების მრავალი სახეობა:

- ფიზიკური ან იურიდიული პირის სახელმწიფო საკუთრების წინააღმდეგ;
- იურიდიული პირების საქმიანი რეპუტაციისა და იმიჯის საწინააღმდეგოდ;
- ეკონომიკური საქმიანობის სფეროში;
- კომპიუტერული ინფორმაციების და ა.შ. სფეროში;
- ინოვაციური განვითარების სფეროში (7).

მუქარის ცნება უფრო ტევადს წარმოადგენს ცნება „რისკისადმი“ მიმართებით. ქვეყნის წინააღმდეგ ეკონომიკური სანქციების გაძღოლის მუქარებიდან შეიძლება გამომდინარეობდეს მრავალი რისკი: ლიკვიდობის დაკარგვის რისკი ფულის უცხოეთში გატანის გამო, სავალუტო რისკი, საბაზრო რისკი. შესაძლო მნიშვნელოვანი რისკებიდან თითოეული, რომლებზეც შიძლება ზეგავლენა განხორციელდეს, უნდა განიჭვრიტოს და ბანკის საქმიანობის ალტერნატიული სცენარების სიტუაციისა და მდგომარეობის გაანალიზებით უნდა იქნას დაზღვეული.

ზემოთ აღნიშნულების საფუძველზე შემდეგი სახის დასკვნის გაკეთება არის შესაძლებელი:

1. საკრედიტო-საბანკო დაწესებულების უსაფრთხოების სამსახურის ძირითად ფუნქციებს წარმოადგენს მიმდინარე ან პოტენციური მუქარების გამოვლენა და მუქარების სტრუქტურირება და კლასიფიკაცია იმისათვის, რომ ორგანიზაციის დაზღვევისათვის ყველაზე ეფექტური ინსტრუმენტები გამოიყენონ.
2. ორგანიზაციაზე მოცემულ მომენტში მომქმედი ზეგავლენის ანალიზის ფაქტორების მეშვეობით მკვლევარს შეუძლია განსაზღვროს, რომ რომელიმე დონის მუქარაა წარმოქმნილი. უსაფრთხოების სისტემის პირველი დონე არის უსაფრთხოების

ინდიკატორების ანალიზი. თუ არჩეული ინდიკატორები შეესაბამებიან განსაზღვრულ მოთხოვნებს, მაშინ მუქარა არ არსებობს, თუ არ შეესაბამებიან, მაშინ წარმოიშობა რისკი, რომელიც უნდა იქნას დაზღვეული და დარეგულირებული, რომ შესაძლო დანაკარგები შემცირდეს ან წარმოქმნადი სარისკო სიტუაციები აღმოიფხვრას.

3. უსაფრთხოების მეორე დონე არის თვალყურის დევნება საგარეო ფაქტორებზე, როგორებიცაა: მდგომარეობა ბაზარზე, კონკურენტები, პოლიტიკური და მაკროეკონომიკური ფაქტორები, ასევე ხმები, ინვესტირების და აქციონერების მოლოდინები და ა.შ.; მუქარების გამოვლენისას კონკრეტული რისკები უნდა დამუშავდეს.
4. თითოეული რისკი ბანკის მდგომარეობაზე მაჩვენებლებზე ზეგავლენის ხარისხიდან დამოკიდებულებაში შეიძლება კლასიფიცირებული იქნას როგორც ძალიან საშიში, საშიში, არასაშიში და სავსებით არასაშიში. რისკები, რომლებსაც არ შეუძლიათ ბანკის ფუნქციონირების მდგრადობის დარღვევის გამიწვევა, შიძლება იქნას მიღებული ან შთანთქმული. რისკები, რომლებსაც თან მდგრადობის დაკარგვა მოჰყვება, უნდა დარეგულირდეს რისკ-მენეჯმენტის სისტემის მეშვეობით.
5. საშიშროებებისა და მუქარების მრავალი სახეობა განაპირობებს უსაფრთხოების მრავალ სახეობას, როგორებიცაა: ეკონომიკური, პოლიტიკური, ინფორმაციული და ა.შ.; მათი შემადგენელების ერთობლიობა თავისთავად საბანკო დაწესებულების კომპლექსურ უსაფრთხოებას წარმოადგენს. ეკონომიკური უსაფრთხოების მართვა ბანკისა და მისი ფუნქციონალური ზონების ბიზნეს-პროცესების და უსაფრთხოების მდგრადობისა და მონიტორინგის კომპლექსური შეფასებისათვის ორგანიზაციის ზეგავლენისა და ელემენტების ფაქტორების სინთეზის ანალიზს საჭიროებს.
6. უსაფრთხოების თითოეული სფეროსათვის საკუთარი ინდიკატორები უნდა შემუშავდეს. დიდი მნიშვნელობა აქვს საკრედიტო-საბანკო დაწესებულების კონკრეტულ

რეგიონში ან დარგში ფუნქციონირების სპეციფიკას, რადგანაც თითოეულ ორგანიზაციას, როგორც ღია სისტემას, მუქარის ფორმირებადი ზეგავლენის ფაქტორების სპეციფიკური ნაკრები ახასიათებს.

7. ბანკის ეკონომიკური უსაფრთხოების განხილული საბაზო ელემენტები და

შემაღგენელები, ეკონომიკური უსაფრთხოების სისტემის შემუშავებისადმი უფრო დეტალურად და იმავე დროს კომპლექსურად მიდგომაში და ბანკის ფუნქციონირების მდგრადობის შენარჩუნების შემძლე მართვის ეფექტური მეთოდის შემუშავებაში გვეხმარება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Овчиникова В.Н. – Управление экономической безопасностью банка в условиях финансового кризиса: Монография. – Ростов н.Д.: Изд-во «Содействие»: XXI век», 2013. – 192 с.
2. Чаплиыгина А.В. – Экономическая безопасность банковской системы // Начный журнал «Novaum» / - № 10, 05.12.2017.
3. “Stress testing by large financial institutions: current practice and aggregation issues”, BIS, 2000.
4. Суглобов А.Е., Светлова В.В. – Внутренний контроль в системе обеспечения экономической безопасности кредитных организаций. Монография. ИД «Городец», 2016. – 140 с.
5. Арбузов С.Г. – Оценка эффективности управления инновационным развитием в контексте обеспечения экономической безопасности // Крептивная экономика. – 2016. – Т. 1- . - № 12. – С. 1337-1344.
6. Криворотов В.В.- Экономическая безопасность государства и регионов: учеб. Пособие / А.В. Калина, Н.Д. Эриашвили. – М.: ЮНИТИ-ДАНА, 2015. – 351 с.
7. Вилисова А.С. – Понятие и классификация рисков и угроз экономической безопасности // Современные научные исследования и инновации. 2017. № 11(Электронный ресурс).

BASIC ELEMENTS AND MAIN COMPONENTS OF A BANK ECONOMIC SAFETY

*David Bibichadze,
Giorgi Tsaava*

In article basic elements and components of an economic safety of bank for implementation of an end-to-end system of security management are probed. The entity of the concept “economic safety of bank” is explained, its basic elements are probed: object, subject, purpose, criteria, methods and mechanisms. Approaches to formation of criteria of an economic safety are explained.

The internal and external factor of influence creating the environment of functioning of credit banking institution and defining a level of danger of originating threats are probed. The analysis of components of an economic safety, proceeding from idia of the functional development of bank is carried out. Features of each component and specific threats and risk which can arise in this sphere are probed.

Are considered the functional content of activities of bank regarding each component. The concept of integrated management of an economic safety based on serial monitoring of originating threats in each component economic safety, classification of possible risks and risk management is provided. The applied methods and mechanisms of control, an object and the subject of control, function of management system at each stage of implementation of system of an economic safety and also the control purpose are considered. Need of structuring an economic safety on components and elements is justified.